# ხელნაწერი: ... (S-2781), XIX ს.

# მინაწერები

**230 გვ.**

ღმერთი არს შემწე ყოველთა კეთილთა ზედა, სრულ იქმნა დიდება ღ˜თსა კეთილთა მიზეზსა დამბადსა

**248 გვ.**

განმარტება ლექსთა ამათ რომელნიცა უხმარნია ბრძენს მას შოთა რუსთველსა თვისსა ამას შრომილსა ვეფხისტყაოსანსა შინა რომელიცა ვიათთაგანვე მძიმედ საცნობ და მისახდომ იქმნებიან ამისთვის აქა ანბანსა ზედა ასხმულნი არიან ლექსნი იგი მისგანვე განმარტებითა თვისითა მხილველთაგან ადვილ მისახმარებლად, ხოლო მრავალთა უწყიან და არდ სახმარს არ ს მათთვის განმარტება ლექსთა და ეს შრომა დაშთების მათთვის რომელთაც საჭმარ ექმნების ესრედ ეწერა უძველესსა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა. ჴელის მშრომელისა მიწვდების ხოლო შრომილი მისი რჩების.
რაცა თავსა უწერია კაცსა იგი გარდახდების ცა ქუწყანა დაირღუწვის და ღ˜თის ბრძანება არ წახდების ჴელი მშრომელთა მიწვდების და ნაშრომი აოხრდების.

**249 გვ.**

ღმერთ არს შემწე სრულ იქმნა დიდება ღმერთსა ყოველთა კეთილთა მიზეზსა დამბადსა.
თუმცა იყუნეს წიგნნი ვეფხისტყაოსნობით ხმობილნი საქართველოსა შინა დაბეჭდილი და ჴელწერილნიცა გარნაა ფრიად განრყუნილნი და არად სახმარნი ამისთვის მისცემოდა გულს მოდგინება თავადს სტატსვი სოვეტნიკს და კავალერს თუმანოვს გიორგი ეგნატის ძეს და მოეპოვა უძველესი ნაწერი ვეფხისტყაოსანი კერძოთა არტანუჯისათა და ესე მე მუნითგან გარდმოვსწერე მრავლითა შრომითა და ღუაწლისა დადებით. ჯვარის მამის მდივამნა გიორგი მიჟეროვეჯისათა. აღიწერა ესე თვესა აგვისტოსა კჱ-სა დღესა ჩყლვ -წელსა.
რაცა თავსა უწერია კაცსა იგი გარდახდების ცა ქუწყანა დაირღუწვის და ღ˜თის ბრძანება არ წახდების ჴელი მშრომელთა მიწვდების და ნაშრომი აოხრდების შრომილი ესე ვეფხისტყაოსანი რომელთაცა ეკუთვნის ღ˜თნ კეთილად მოახმაროს. ამინ .
1881 წელს იანვრის 12 დღესა.

**ყდაზე**

ესე ვეფხისტყაოსანი ეკუთვნის კნეინა ნინოს თამაზის ასულს.